ტურიზმის განვითარების პერსპექტივები თუშეთის დაცულ ტერიტორიებში

ეკატერინე ორბეთიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობის MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ნუგზარ ზაზანაშვილი
თანახელმძღვანელი : მკვლევარი, ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ეკატერინე ორბეთიშვილი

თარიღი: 20.06.2016

სარჩევი

აბრევიატურები და შემოკლებები 5

აბსტრაქტი 1

1. შესავალი 3

1. 1.ლიტერატურის მიმოხილვა 5

1.1.1. ტურიზმის ზოგადი მიმოხილვა 5

1.1.2. საქართველოს დაცული ტერიტორიების მოკლე მიმოხილვა 5

1.1.3. ტურიზმი და დაცული ტერიტორიები 6

2. კვლევის ობიექტია : თუშეთის დაცული ტერიტორიები 8

2.1. მდებარეობა 8

2.2. დემოგრაფია 9

2.3. კლიმატი 9

2.4. ნიადაგები 10

2.5. შიდა წყლები 10

2.6. ფლორა და მცენარეულობა 11

2.7. ფაუნა 12

2.8. არქიტექტურა 12

2.9. თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება 13

2.10. მიწათსარგებლობის წესები 13

3. ტურიზმის მნიშვნელობა და მიმოხილვა დაცულ ტერიტორიებში 15

3.1 . ეკოტურიზმი 15

3.2. აგრო და ეთნოკულტურული ტურიზმი 17

4. კვლევის მეთოდები 19

4.1. თუშეთის დაცულ ტერიტორიებში ტურიზმის არსებული სიტუაციის შეფასება 20

5. კვლევის შედეგები 23

5.1. ტურისტული ინფრასტრუქტურა 23

5.2. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული მომსახურება 24

5.3. ტურაგენტების, საოჯახო სასტუმროებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული კვლევის შედეგები 25

6. დასკვნები და რეკომენდაციები 33

ბიბლიოგრაფია: .....

დანართი 1.....
დანართი 2.....
დანართი 3.....
დანართი 4.....
დანართი 5.....
დანართი 6.....
დანართი 7.....
დანართი 8.....

აბრევიატურები და შემოკლებები

კმ - კილომეტრი

მმ - მილიმეტრი

C^0 - ტემპერატურა ცელსიუსებში

სურ. - სურათი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

IUCN - International Union for Conservation of Nature

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო თემის, კვლევის მიზანია თუშეთის დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორებისათვის ახალი ტურისტული მომსახურების შეთავაზება - აგროტურიზმის სახით. თუშეთის დაცული ტერიტორია ზღვის დონიდან 1600-3400(მ) სიმაღლეზე მდებარეობს. ტრადიციული ცხოვრების წესი – მომთაბარე მეცხოველეობა, ადგილობრივი ტრადიციული ხელსაქმე, უძველესი კოშკური არქიტექტურა და კულტურა წარმოადგენს თუშების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. თუშეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა სწორედ ამ ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებას. თუშეთის ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტურიზმის სხვადსხვა სახეობის განვითარებისათვის, მათ შორის აგრო და ეთნოკულტურული ტურიზმისა. ეთნოკულტურული ტურიზმი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აგროტურიზმისა. თუშეთის დაცულ ტერიტორიებში ტურისტები ჩადიან და ჩერდებიან თუშეთის დაცულ ლანდშაფტში, თუმცა ისვენებენ და მოგზაურობენ თუშეთის ეროვნულ პარკში.

ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, სტიმულს აძლევს ადგილობრივ წარმოებას (სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი, ხალხური რეწვის ნიმუშები და სხვა).

კვლევის ფარგლებში შეფასდა და დადგინდა თუშეთის დაცულ ტერიტორიებში არსებული ტურისტული რესურსების პოტენციალი, ასევე საოჯახო სასტუმრო მომსახურების პროდუქტების ანალიზი, ახალ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნისა და ადგილობრივი მოსახლეობის მზაობის შესწავლა. დამუშავდა მონაცემები ასევე მოძიებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ კითხვარებს, ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასა და საოჯახო სასტუმროების მფლობელებთან, ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლებთან. გამოვიკითხე საქართველოში მოქმედი ტუროპერატორები. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ისინი არ სთავაზობენ ტურისტებს აგროტურებს თუშეთის დაცულ ტერიტორიებში, თუმცა კითხვაზე - არის თუ არა მოთხოვნა მსგავს ტურებზე თუშეთში ტურისტების მხრიდან, გამოკითხული ტუროპერატორიდან უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ტურისტებს აქვთ სურვილი გაიცნონ ადგილობრივი ტრადიციები, ვიზიტორებს სურთ ადგილობრივი პროდუქციის დამზადებაში მონაწილეობის მიღება, ასევე გამოკითხული საოჯახო სასტუმროდან უმეტესობამ თქვა, რომ ვიზიტორებს ყოველთვის აქვთ სურვილი ჩაერთონ ასეთ საქმიანობაში. კვლევამ გვაჩვენა, რომ საოჯახო სასტუმროების უმრავლესობა მათ მიერ წარმოებულ ადგილობრივ პროდუქციას სთავაზობს ვიზიტორებს, როგორც მთაში, ასევე ბარში არსებული ობიექტებიდან. გამოკითხული მოსახლეობა მზადყოფნას გამოთქვამს ტურიზმის ახალი სახეობის განვითარებისათვის. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ უნდა მოხდეს სწორი დაგეგმვა, რადგან მისი განვითარების ერთ-ერთი მიზანი დაცულ ტერიტორიებში ტურისტების გამტარუნარიანობის რეგულირებას გულისხმობს - რაც უფრო მეტ ტურისტულ მომსახურებას შევთავაზებთ ვიზიტორებს და მრავალფეროვანი იქნება ტურისტული მომსახურება, მით ნაკლები იქნება უარყოფითი ზეგავლენა კონკრეტულ ბუნებრივ-კულტურულ ტერიტორიაზე, რომელსაც უამრავი ტურისტი სტუმრობს და სადაც ამჟამად მხოლოდ ეკოტურიზმი ვითარდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაცული ტერიტორიები, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი.